# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 237 კვირა, 25 ოქტომბერი 1909 წ. № 237



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბრუნდება მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ. მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.


**ალექსი ანტონის ძე და სოფიო გიორგის ასული ყაზახიშვილები შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### გიორგი (გოგლო) ყაზახაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება კვირას, 25 ოქტომბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე, ყოვლად წმიდის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე და წირვის შემდეგ განსვენებულის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (2—უ.—2)

### ან. მართა სვიმონ წულუკიძის ასულის აბაშიძის

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება კვირას, 25-ს ოქტომბერს, საფიჩხიის ეკლესიაში ქუთაისში, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **თ. კონსტანტინე ივანეს ძე აბაშიძე.** (1—1)

**წარმოდგენა № 10.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 10.**

**კვირას, 25 ოქტომბერს, 1909 წელს.**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით.**

### ორი ჯიბგირი

მელოდრამა 5 მოქმედებად და 6 სურ თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი, იმედაშვილი-ხამშელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ქოჩრიანი ტოროლა", „იმედის დაღუპვა", „უკვდავი ზღაპარი".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

### ქართული თეატრი

სამშაბათს, ამა ოქტომბრის 27-ს,

წ.-კ. საზოგადოების გამგეობის მიერ

გაიმართება

### ილია ჭავჭავაძის საღამო

1. განყოფილება: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი"—ლექცია გრ. რობაქიძისა.
2. კონცერტი **ვანო სარაჯიშვილის,** ი. ბარათაშვილის, ნ. გაბუნია-ცაგარლის და სხვათა მონაწილეობით.
3. ცხოველი სურათები ილიას თხზულებიდან („დედა და შვილი", „კაკო", „აჩრდილი", „პოეტი", „დიმ. თავდად.", „გაზაფხული", „გუთნის დედა") დეკლამაციით. ცხოველ სურათებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, გაბუნია-ცაგარლისა, მდივანი, რომანიშვილი, ჩერქეზიშვილი, ფ. ჯაფარიძე; ბ-ნნი გვარაძე, ზურაბიშვილი, მესხი და ჯაფარიძე.

**ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.** (5—4)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პიპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—189)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პიპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ , ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—21)

### შავი-ქვის

მრეწველთა მე-12 კრების თავმჯდომარის, სამთო-მადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, ქ. ს. ს. მარიან ივანეს ძე ჩენგერის წინადადებით, მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1909 წლის 30 ოქტომბრისთვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

### მე-12 მორიგი კრება შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველებისა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა საბჭოს და კომისიის ანგარიშებისა.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა.
4. განხილვა დებულებისა კრებების შესახებ.
5. სათადარიგო თანხის შექმნა კრების საჭიროებათათვის.
6. გადათვალიერება იმ პირობებისა, რომლითაც ჯილდო ეძლევათ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულ მუშებს.
7. შავი-ქვის ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე.
8. კრებების საჭიროებათათვის საფუთო გადასახადის გადიდება.

(3—ნ.—2)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—91)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—14)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის. სახლი. (0—უ.—33)

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

### ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

### სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჭრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—28)

**ექიმა** ქუთაისში. **ვოლოხმა**

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კგ.—13)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—281)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—32)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—42)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნივისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—46)

### სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ზალ.—44)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში**

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხოშხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—14)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმედების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კგ.—88)

**ექიმი გ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს **საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა.** (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—38)

**ექიმი გ. მაგაკიანი.**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—44)

**სახალხო სახლი**

**ძმ. ზუბალაშვილებისა**

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ პარასკევს, 30 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება

### ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კარეევისა, თარ. ჩიკვაიძისა.

### ექიმთან

კომედია ივ. გომართელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი თ. აფხაზიშვილი, ნ. პაქრაძე, თ. გოგოლაშვილი, ა. კავთელი, მ. მარჯველაშვილი, ტ. საგინაშვილი, მ. ქართველიშვილი, და ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, ზ გელიკურაშვილი, გომელაური, გ. გოგია, ა. მეტრეველი, ვ. მატარაძე, მირველოვი, ს. პეპანოვი, ს. რომანოკი, რ. სალაყაია, მ. მალიკო, ნ. ჭანკვატაძე და ჯიბლაძე.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

(4—1) გამგე **ა. ყორანაშვილი.**

**გამგე** კომიტეტი ტფ. გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოებისა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ

### განგრძობა

წლიურ საზოგადო კრებისა დანიშნულია დღეს ოქტომბრის 25-ს, დილის თერთმეტ საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში. (1—ნ.—1)

**„ტფილისის სობრანიე"**

დღეს, კვირას, 25 ოქტ. 1909 წელს

### საოჯახო საღამო

საღამოზე დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**ანონსი:** შემდეგი საოჯახო საღამო სამშაბათს, 27 ოქტომბერს. (1—517—1)

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი"

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ винодѣловъ-садовладѣльцевъ

„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეიონო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ვგზავნით ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетъ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Церковный №7. Уставъ Товарищ. утвер. въ 1907 г.

(100—ნ.—9)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.**

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ. ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—12½ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. 11½—12½ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის წესით. (00—ნ.—108)


## ტფილისი, 25 ოქტომბერი

ფინლიანდიისა და საიმპერიო მთავრობის შორის ურთიერთობა დღითი-დღე მწვავდება. ფინლიანდიელები დიდ თავდაჭერილობას იჩენენ და კანონიერების ნიადაგს არა სცდილდებიან. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ფინლიანდიას უკანონო მოთხოვნა წარუდგინეს და მით ფინნებს ამგვარი დილემმა წაუყენეს—ან ამ მოთხოვნას დაემორჩილეთ და უკანონობა ჩაიდინეთ, ან წინააღუდექით ამ მოთხოვნას კანონიერების დასაცავად და, ამ რიგად, ურჩობა გაგვიწიეთო.

გარემოება ამგვარია. უმაღლესი მთავრობა ფინლიანდიას ავალებს ფულის გადახდას სამხედრო ბეგრის ასრულების ნაცვლად. ფინნები ამის წინააღმდეგნი არ არიან. მხოლოდ ეს საგანი უნდა ყოფილიყო განხილული ფინლიანდიის სეიმში. სეიმი დაადასტურებდა ხარჯის გაღებას და სახელმწიფოც დაკმაყოფილებული იქნებოდა, ფინლიანდიის კონსტიტუციის კანონებიც დაცული. ამ კანონიერ გზას აუხვია მთავრობამ და პირდაპირ გასცა ბრძანება მანიფესტის სახით ფულის გადახდის შესახებ. 16 ოქტომბერს ამ სახიფათო საგნის შესახებ კამათი და სჯა-ბასი იყო ფინლიანდიის სეიმში. დიდი უმრავლესობა (კონსტიტუციონალისტები და სოციალისტები) წინააღმდეგია უკანონო აქტისა და თუმცა პრინციპიალურად მზად არის, სახელმწიფო დააკმაყოფილოს ფულით, მონდომებულია მხოლოდ კანონიერი ხასიათი მისცეს ამ საქმეს. სტაროფინებიც თანახმანი არიან იმაში, რომ მოთხოვნა უკანონო სახით არის წამოყენებული, მაგრამ ისინი მზად არიან ეს უკანონობა ჩაიდინონ, რათა მეფესა და ფინლიანდიის შორის ურთიერთობა არ გამწვავდესო. სენატორი დანიელსონ-კალმარი აფრთხილებდა სეიმს: ნუ გავიწყდებათ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით. ადვილად შესაძლებელია, რომ ის დროც მალე დადგეს, როდესაც ფინნებს საშუალება მოესპობათ წარმომადგენლების მეოხებით ებაასნენ ცენტრალურ მთავრობას. ერთის უკანონო აქტის ჩადენა გვირჩევნია, რათა თავიდან ავიცილოთ მომავალში უკანონობის მთელ სისტემის გამეფება ფინლიანდიის წინააღმდეგაო. სენატორის გაფრთხილებამ ვერ გასჭრა და ეს საკითხი გადაეცა კომისიას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საგნის იურიდიული მხარე და ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც შეეფერება ფინლიანდიის ინტერესებს. ასე რომ კონფლიქტი მთავრობასა და სეიმს შორის აუცილებელია. იგი უკვე არსებობს და დღითი-დღე უფრო თვალსაჩინო გახდება.

არის კიდევ მცირე საკითხი, რომელიც არა ნაკლებად აღელვებს ფინთა საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში, გამძვინვარებულ ნაციონალიზმის ზედგავლენით, მთავრობამ განიზრახა ვიბორგსკის გუბერნიის ჩამოშორება ფინლიანდიისაგან და ამ გუბერნიაში საიმპერიო წესის დამყარება. ამის გამო ვიბორგის დეპუტატებს (30 კაცს) თათბირი ჰქონდათ და თათბირზე გამოირკვა, რომ ვიბორგის გუბერნიის მკვიდრნი, კულტურულად და ეროვნულად შეკავშირებულნი ფინლიანდიასთან, ამ მოულოდნელ გათიშვის გამო სასოწარკვეთილებაში იმყოფებიან. ხსენებული დეპუტატები პროტესტს აცხადებენ ამის წინააღმდეგ და ეს პროტესტი წარუდგინეს სახელმძღვანელოდ ფინლიანდიის სეიმს. ამ პროტესტს მთავრობა, რა თქმა უნდა, არავითარ ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ თავის განზრახვას ამ ახლო მომავალში მაინც ვერ აასრულებს. საქმეს რომ ჩაუკვირდნენ, დაინახეს, რომ ვიბორგის გამოყოფა არც ისეთი ადვილი საქმეა. საქმე ის არის, რომ ფინლიანდიის სესხები აულია. ეხლა იმის ტერიტორიას რომ კარგა მოზრდილი ნაჭერი მოაცალოთ, სესხის გადამხდელი ის იურიდიული პიროვნება აღარ იქნება, რომელიც სესხის აღების დროს იყო. ეს და სხვა ამ ხასიათის გარემოებანი აძნელებენ ამ საკითხის გადაჭრას ისე, როგორც უნდა რუსეთის რეაქციის მმართველ წრეების მეთაურობით.

ასეა თუ ისე, ფინლიანდიის წინააღმდეგ გალაშქრება ფრიად თვალსაჩინო გახდა და არავისთვის დასამალი არ არის, რომ ამ საქმეში მურს იძიებს რუსის საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არ დავიწყებია ფინლიაადიის მედგარი ბრძოლა ავტონომიის მოპოებისთვის, არ დავიწყებია ის, რომ ფინლიანდიის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ დეპუტატები და გამოსცეს ცნობილი „ვიბორგის მოწოდება", არ დავიწყებია არც ის, რომ გერცენშტეინის მკვლელები ალმოჩინა და გაამტყუნა ფინთა სასამართლომ...

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თუ რა მდგომარეობაშია პრესსა, როგორ ფრთა შეკვეცილია იგი—ეს ყველამ იცის. დღეს არავითარი კანონი არ მოქმედებს. მაგრამ როგორც ეტყობა, ხეირი პრესას არც მაშინ დაეყრება, როდესაც სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი გამოვა.

გაზეთი „რუსკ. ვედომოსტი“ ეხება ამ კანონ-პროექტს. გაზეთის სიტყვით, მთავრობას უკვე დაუმთავრებია კანონ-პროექტის შემუშავება. ორი საკითხი-ღა ყოფილა გამოსარკვევი: არ იციან, როგორ მოაწყონ ბეჭდვითი სიტყვის ზედამხედველობა და იმაზე ყოყმანობენ—უნდა დაწესდეს თუ არა საგამომცემლო საწინდარი (ბე) გაზეთებისათვის. კანონ-პროექტი თხოულობს, რომ პასუხისმგებელი რედაქტორიც იყოს და გამომცემელიც. ჯარიმაც ძალიან დარჩება. თუ კანონ-პროექტი ამ სახისა დარჩა, გაზეთების მდგომარეობა ოდნავადაც არ შეიცვლება.

მაგრამ ამ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარებასაც არ ესწრაფვის სამინისტრო. სათათბიროს ეს კანონ-პროექტი წლის ბოლოს წარედგინება მხოლოდ.

„რუსკ. ვედომოსტი“ სწერს:

კანონპროექტს საბოლოოდ განიხილავს მინისტრთა საბჭო ამა ნოემბრის პირველ რიცხვებში და შეიძლება ამ წლის გათავებამდე სათათბიროსაც წარუდგინოს განსახილველად, მაგრამ მხოლოდ უბრალო ფორმალობა იქნება იმ დაპირების ასრულება, რომელიც სათათბიროს აღუთქვეს. მაგრამ მინისტრების უმრავლესობა წინააღმდეგია კანონპროექტის ცხოვრებაში გატარებისა ამ გარდამავალ ხანაში.

ეს კანონპროექტი ბევრი აკონკეს, ბევრი შეაკვეც-შემოაკვეცეს; 1905 წლის 24 ნოემბრის დებულება აიღეს, შესცვალეს, როგორც კი მოითხოვდა განსაკუთრებული და საგანგებო დაცვის წესები, მაგრამ ამ დამახინჯებულ კანონპროექტის ცხოვრებაში გატარებაც არ უნდათ: „გარდამავალი“ ხანაა და შეუძლებელია ასეთი „თავისუფლება“ მიეცეს ბეჭდვითი სიტყვასა.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**მიწად-მოწყობის კანონ პროექტი და შეკითხვა.**

მეხუთე სხდომაზე, 23 ოქტომბერს, სათათბირომ მე-80 მუხლამდე განიხილა კანონ-პროექტი მიწად-მოწყობის შესახებ. მიიღეს მე-63 და 64 მუხლები, რომლებმაც წინა სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვიეს და რომლებიც მიწად მომწყობ კომისიების შედგენილობას შეეხებოდა. პირველ მუხლში თერთმეტი შესწორება შეიტანეს, მაგრამ სათათბირომ ყველა უარ-ჰყო და მიიღო ორივე მუხლი კომისიის რედაქციით.

სხვათა შორის, კამათის დროს დეპუტატმა ბობრინსკიმ წაიკითხა ზოგიერთი ადგილი კუტლერის ერთი მოხსენებიდან, რომელიც კუტლერს მინისტრობის დროს დაუწერია. ამან პურიშკევიჩს კლოუნობის საბაბი მისცა.

საღამოს სხდომაზე ამ სათათბირომ მოისმინა 31 დეპუტატის შეკითხვა ურალის საქარხნო მუშათა სამკურნალო დახმარების შესახებ. როგორც შეკითხვიდანა სჩანს, სამთო ადმინისტრაცია ძალიან უდიერად ეპყრობა თურმე ავადმყოფ მუშებს—არ აძლევს წამლებს, არ აწვენს საავადმყო ვოებში და საზოგადოდ შეზღუდა მუშების უფლებანი.

ამ შეკითხვის გამო დიდხანს ილაპარაკა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა, მან სთქვა, მთავრობის მოხელენი სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ, რადგან ისინი კანონიერ ნიადაგზე იდგნენო. გაიგონეს თუ არა ეს ოქტომბრისტებმა, ფორმულა შეიტანეს—სათათბირო კმაყოფილია მინისტრის განმარტებითაო. სათათბირომ მართლაც მიიღო ეს ფორმულა და, მაშასადამე, შეკითხვამ ჩაიყლაპის წყალი დალია.

დასასრულ, დეპ. გეგეჭკორმა ითხოვა, სათათბიროს მეორე დღეს განეხილა შეკითხვა პროფესიონალურ კავშირების შესახებ, მაგრამ სათათბირომ უარ-ჰყო.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან
24 ოქტომბერი

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. კონსერვატორების ლიდერმა ბალფურმა ბიუჯეტის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბალფურის აზრით, ბიუჯეტი სოციალისტურ წეს-წყობილებას ამყარებს, კერძო საკუთრებას სპობს, იმ კერძო საკუთრებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ინგლისის ეკონომიურად განვითარება. ბალფურს უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა. ასკვიტმა სთქვა: ბიუჯეტი დეპუტატთა პალატის უმრავლესობამ მოიწონა. დეპუტატთა პალატის უმრავლესობამ სხვებზე კარგად იცის ინგლისის მდგომარეობა და მას ყველაზე მეტი უფლება აქვს შეეხოს და მოაწესრიგოს ეროვნული ფინანსებიო. პალატამ 379 ხმით, წინააღმდეგ 144 ხმისა მიიღო ბიუჯეტი. კენჭის ყრის შემდეგ ლიბერალები ასკვიტს და ლლოიდ-ჯორჯს ოვაციებითა და ხანგრძლივ ტაშით მიეგებნენ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: ტყუილია ის ხმა, ვითომ სამღვთო აფიცრებსა და მატროსებში მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენო.

ჰაერში ფრენა.

**პოტსდამი.** რაიტის მოწაფე კაპიტანი ენგელჰარდი რაიტის ჰაეროპლანით 53 წუთში 120 კილომეტრის მანძილზე გაფრინდა.

რ უ ს ე თ ი

**ნოვოროსიისკი.** ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა ვოლგა-კამის ბანკის კანტორიდან გაიტაცა 3387 მანეთი. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

**მოგილევი.** სოფელ კრუპკაში სამი ბოროტგამზრახველი შევარდა სახაზინო არყის დუქანში და სამასი მანეთი გაიტაცა. ამის შემდეგ ბოროტგამზრახველები სახლში შეუცვივდნენ ადგილობრივ მღვდელს ჩელიცკის, მოჰკლეს მისი მამა, ცოლი, მღვდელ ჩერკასკის მეუღლე, მოხელე კონსტანტინოვი და მისი დედა. ყველა ესენი მღვდელ ჩელიცკისთან სტუმრად იყვნენ. ბოროტგანზრახველებმა ჩელიცკის სახლიდან არაფერი არ წაიღეს და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** მთავრობამ ბეითლების საზოგადოებას ნება დართო 1910 წლის 12 იანვარს მოსკოვში მოიწვიოს სრულიად რუსეთის ბეითალთა კრება.

სამოსამართლო პალატამ განიხილა ქალ ინანის საქმე. ბრალდებოდა სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრობა. სასამართლომ სინანის 8 თვით ციხე გადაუწყვიტა.

ხ ო ლ ე რ ა

**ვოლოგდა.** 21—22 ოქტომბერს გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3 კაცი.

**პეტერბურგი,** დღე-ღამეში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3, ავად არის 198 კაცი.

**იალტა.** იალტა და მისი მაზრა ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს.

# გრიგოლ ვოლსკი

(ვუძღვნი ბარბარე იოსებ ვოლსკის ასულს).

მხოლოდ ორიოდეჯერ ჩამოჰკრა ჩანგის სიმებს, ორჯერ თუ სამჯერ, და ხმა გაიკმინდა. ორიოდეჯერ მიმართა თავისს ნაზს ლირას, თავისი ჰანგი გაგვაგონა; მოგვასმენინა ღრმა, წრფელის გრძნობებითა და სიმშვენიერით შეზავებული ჰანგი და დადუმდა, ორიოდეჯერ გაგვაგონა მისმა მუზამ სევდის ამშლელი კილო მომხიბლველის გალობისა და მიყუჩდა.

მაგრამ ორიოდე სტრიქონშიაც, თავის ჰანგში, ორიოდე სიტყვაში გადაგვიშალა მგოსანმა თავის სულისა და გულის ნადები, გაგვაგებინა, რას ჰფიქრობდა პოეტი ყოველივე იმ დიდ საგნის შესახებ, რომელსაც კი მოუხიდავს ხოლმე მწერალ-ლირიკოსის ჩანგი—ეა... მან უდიდესის სიწყნარითა და თავ-მდაბლობით მიცულმა მიატოვა სიმღერა.

ვინ იცის საიდუმლო მგოსნისა? იქნება ბარათაშვილის, ჭავჭავაძეებისა და აკაკის სამეუფოს ახლოს მიკარებაც კი თავხედობად მიიჩნია. და თუ ასეთის აზრის აღმასრულებელმა ორიოდეჯერ მაინც მოჰკიდა კალამს ხელი, მარტო იმიტომ, რომ მოზღვავებულს გრძნობას ველარ გაუძლო, და ფატალურ ძალას მგოსნის მოწოდებისას ძალა-უნებურად დაემორჩილა? განა თუ მგოსნობა ისეთივე ძლიერი რამ არ არის, როგორც ყოველივე მიუწვდომელი და გამოუცნობელი ძალი სიცოცხლისა, ცხოვრებისა და ბუნებისა?

და აი გვიგალობა პოეტმა **სიყვარულის** შესახებ და გვითხრა, რომ რომ სევდა, ჭირი, ვარამი, რომელიც „გულ-ღვიძლს უღრღნის“ და გულს გესლით უვსებს არა რა არის სიყვარულის ძალასთან შედარებით, საკმაოა მოიგონოს ტრფობ ს საგანი, რომ იგი საგანი შეიქმნეს მ ს „მხსნელ ფარად“. გვითხრა, რომ ამ დიდებულ გრძნობისთვის იგი „სიკვდილსაც“, ამ ყოვლის დამამხობელ მოვლენ ს არად მიიჩნევს; გვამცნო, რომ „ჭირსა და ლხინში ყველგან, ყოველთვის“ მისი გული და გონება, მთელი მისი სასოება და რწმენა მიილტვის მისი ხატისა და ჯვარისაკენ, მისის საყვარელის, სატრფიალოსაკენ. ეს გრძნობა იმდენად დიდი-ა, იმდენად მაღლად მიაჩნია მგოსანს, რომ მისთვის სიკვდილიც-კი სიცოცხლედ იქცევა, და სიკვდილს ერთის მხოლოდ ნატვრით ეგებება სატრფოს „ცრემლი ციურ საჩუქრად მის ობოლ საფლავს დაეცეს ცვარად“.

...ი, მაგრამ ვინ არის ეს უცნაური სატრფო, ვინ არის ეს საუცხოო ნესტანი, რომლის გულისთვის მის მიჯნურ მგოსანს „სიკვდილიც-კი მიაჩნის არად“, ვინ არის ეს უცხო, სათაყვანებელი არსება, რომლის ცრემლი, ციურ საჩუქრად აქვს მიჩნეული, რომლის ცრემლი „სიკვდილის ჟამსაც სანატრელად ექნება“. ვინ არის ეს სასწაულ-მომქმედი ტურფა, რომელიც პოეტს ათქმევინებს: „დაეხსენ, მოვკვდე, დავიწვდე, მატლთა გულს მისცენ ზიანი, ოღონ შენ სატრფოვ, ხარობდე და ცა სხივს გფენდეს მზიანი“. ძველი ტურფაა, „დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხ-შიშველი, თავზე ლეჩაქ მოხდილი“, რომელსაც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ეტრფოდა და თავს ევლებოდა, მის გამო ტანჯული და განაწამები ორი დიდება ჩვენის პოეზიისა.

და განა შეეძლო გრიგოლ ვოლსკის, ამ მეტად ღრმა შთაბეჭდილებების, ნაზ მგრძნობიარე გულის მგოსანს, თავისის მოძღვრების ხაანდერძევი არ აღესრულებინა და მათგან ჩანერგილის იდეალის საკურთხეველზე არ დაეფრქვია წრფელი ცრემლები და ამ სხვა-გვარის ტრფობის გალობა არ ეთქვა?

დიდაც სთქვა. ერთხელ თუ ორჯელ მხოლოდ მისცა თავის თავს ნება ამ ტაძრის წინაშე მუხლი მოეყარა და ნაღველით აღსავსე გულიდან ამოეკვნესა—შენ თაყვანსა გცემ, „შენ გეტრფი მარადო“, მეტად დიად, მეტად წმიდა და მიუწდომელ რამედ მიაჩნდა, რომ იგი „სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად გაეხადა“, თუმცა კი მრავალ „წვეულზედ“ უფრო მეტი უფლება ჰქონდა ხშირად მოემართა სიმღერად თავისი ქნარი, ხშირად ეალერსა ჩვენი სმენა და გაეკონებინა „სიმთა მკრთოლვარე ჟღერანი“.

საყვარელი მისთვის ესდენ მაღალი რამ იყო, რომ ტანჯულისა და დაჩაგრულის მისი სასოება სამშობლოსადმი გრძნობაც კი ამ სამშობლოში გაახვია; მის შესაფერ სამოსლად მარტო ეს მშვენიერი გრძნობა მიიჩინა.

სიკვდილი კი მისთვის ნეტარებაა, ვინაიდან [illegible] იმ ნატვრით, რომ „მის ობოლ საფლავს [illegible] ჩუქრად საყვარლის ცრემლი“, სიყვარული მისთვის იმდენად ძლიერია, რომ სიკვდილსაც სიცოცხლის ფერს აძლევს და მისგან გამხნევებული გული მგოსნისა სიკვდილის დროს ტანჯვა-ვაების მაგიერ ნეტარებითა და სასოებით აღივსება.

ბუნება? ჰო, ბუნება, ეს მეორე სიმბოლო მისის სიყვარულის სამშობლოს გამომსახველი? ბუნება ისეთ რამედ მიაჩნია, რომელიც სიყვარულის არ იყოს, სიკვდილის შიშსა და სევდას უქარწყლებს და სიკვდილსაც კი მომხიბვლელ რამედა ჰქმნის. ამას დასდევს მგოსანი თუ გინდ „საუკუნოდ დადუმდეს, გულმა შესწყვიტონ ძგერანი, და გულსა სად დუღდა სისხლ-ცრემლი დაესიონ ჭიანი“, არად მიაჩნია ყველა ეს, ოღონდ კი ბუნება, მისი თანამგრძნობელი იყოს, ოღონდ კი ბუნებამ გაუგოს მას სულის კვეთება, ოღონდ კი მის „საფლავზე ჰყვაოდნენ ვარდნი ფურჩქვნილნი, იანი“. სიკვდილი მისთვის არა რაა, მისთვის სიცოცხლეა ყველაფერი, სიცოცხლემ სიყვარულითა და ტრფობით გაცისკროვნებულმა, სიკვდილის წინ მწუხარება და კვნესა არ იცის. სიცოცხლეს ბუნების მოვლენათა დაუსრულებლობის შემცნებს სიკვდილის მოლოდინი არად მიაჩნის, იგი შესწყვეტს თავის ძაფს იმ საუცხოო ნატვრაში, რომ „სატრფო მისი ხარობდეს და ცა სხივს ჰფენდეს მზიანი“ და ამ ნატვრაში სამუდამოდ შესწყდა ამ სიწყნარით, სინაზითა და წრფელის გრძნობებით შემკულ მგოსნის „სიმთა მკრთოლვარე ჟღერანი“.

უდროოდ შესწყვიტა მისმა გულმა ძგერა... მაგრამ ზემოდაცა ვთქვით, გ. ვოლსკიმ თავისისავე ნებით, თავისისავე სურვილით კიდევ უფრო ადრე შესწყვიტა „მკრთოლვარე სიმთა ჟღერანი“. ზემოდვე ვთქვით, მეტად დიდის მოწიწებითა და კრძალვით ეკიდებოდა იმ ტაძარს, რომელსაც ისეთ შარავანდედით შემოსილი ქურუმები ჰყავდა, როგორც ბარათაშვილია, ჭავჭავაძეები, აკაკი და ორბელიანები.

ერთი ორი ააწყო მეთქი სიმები, რათა გაეგონებინა ყოველივე სევდა

# ოცნების მხარეს

დრამატიული ბოჯ.

ნ ი ნ ო ს.

შევქმენ ოცნების ტურფა წალკოტი,
იქ მუშკამბარი სურნელს აკმევდა;
იქვე ვიხილე შენი აჩრდილი
და ნაღვლიანსა იმედს მაძლევდა.
მე შენ მოგენდე, გიმღერდი ლექსებს,
გიღეღერდი ჩანგსა ათრთოლებულსა;
მაგრამ მოჰფარდი, ვზი აწ მარტოკა,
შევბა წარმტაცე დაობლებულსა!
ვეღარა გხედავ, მაგრამ გიგალობ,
ტკბილ მოგონებით გული მეგზნება;
აჰა, მიიღე ერთგულ მგოსნისგან
ბედკრულ დღის ნაშთი—სულის კვეთება!..

მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

| | |
|---|---|
| **მგოსანი.** | **გუნდი კეთილ სულებისა.** |
| **მზისავარ.** | **გუნდი ქაჯებისა.** |
| **სევდია.** (მგოსნის მეგობრები.) | **გუნდი ბოროტ სულებისა.** |
| **ბერი.** | **ზღვის ფერიები.** |
| **ერთგულა.** | **იდუმალი ხმა.** |
| **სიყვარული.** | **ფასკუნჯი.** |
| **ოცნება.** | **ყორანი.** |
| **გუნდი აჩრდილებისა.** | **აჩრდილი მზისავარისა.** |

## სურათი პირველი

ოთახი მგოსნისა. შუაღამეა, ისმის მამლების ყივილი. მგოსანი მაგიდასთან ზის და რაღაცას სწერს. იმის წინ ქალის სურათია ყვავილებით მორთული. წერას გაათავებს. დაღონებული ერთს ადგილს მიაშტერდება. შემდეგ სარკმელს მიუახლოვდება და ბაღს გადაჰყურებს. მთვარის შუქი შემოიჭრება და მგოსნის მიბნედილს სახეს გაანათებს. ეტყობა იღლდება. მჯდომავს და არ ესვენება.

მ გ ო ს ა ნ ი.

ყველა გაჰქრება, ვითა სიზმარი,
დაივიწყებენ გმირს თავდადებულს;
ვეღარ მოჰხიბლავს ჩანგი მგოსნისა
გულსა ფერფლად ქმნილს და მიყუჩებულს!
არვიცი, შემდეგ დროთა ბრუნვაში
რაგვარ სხეულსა მიიღებს სული;
მარად უკვდავი, ჩვენი მტანჯველი,
სიყვარულია სევდით შეპყრობილი.
იგი შორს არის, მაგრამ ოცნებით
მე მასთანა ვარ, ის მასულდგმულებს;
აი, სურათი—მისი აჩრდილი,
სულს დანაღვლებულს ჰფენს ნათელ სხივებს.
ვითა ვარსკვლავი ჰკრთის და ციმციმებს,
მის სიდიადეს ვერვინ მისწვდება;
მე მიყვარს იგი მიუწდომელი,
მისთვის ეს გული ცრემლად იღვრება.
დაე, ვიტანჯო, თვით ამ ტანჯვაში
ვპოვებ სიამეს, თავდავიწყებას:
მე მიწიერი წყურვილს ვერ მიკლავს,
ვეტრფი ზეცის ზექვეყნის ციურ ხატებას.
თვალს ტკბილი ძილი არ ეკარება,
სული შავს აჩრდილთ ესაუბრება;
და მომითხრობენ: მას არ უყვარხარ!—
ის სულ სხვა ვარსკვლავს ეალერსება.
ძალა მელევა... გრძნობა ყუჩდება...
დაღლილსა მალე ჩამეძინება;
ვიცი, სიზმრადაც მომელანდება,
თუმც მას არა ჰსურს და მეურჩება!
მოდი, მოფრინდი, მკვლელო გულისავ,
ჰნახე ვით ჰყივის სული ჩაგრული;
მყუდრო საღამოს ყური დაუგდე:
ჩემს მწარე სევდას მოსთქვამს ბულბული.
ცისა მნათობნი ცრემლებს მაფრქვევენ,
ულვთოდ წამებულს, ცოცხლად დამარხულს;
შენ კი, ამაყო, მწარედ დასცინი,
მაღალსა გრძნობას და წრფელს სიყვარულს!
აჰა, ოცნებით შენკენ მოვილტვი,
შენკენ მოვფრინავ მძლავრ ფრთებ შესხმული;
ვერ შემაყენებს თვით ღვთის განგება,
უშიშრად მიკვლევს გზას სიყვარული.
ნუ თუ, როს გპოებ, პირს მომარიდებ,
არ გაუღიმებ სულს დამწუხრებულს?
რას მეტყვი, მკვლელო, სამხიარულოს?
რით ანუგეშებ შენს მკობელს ერთგულს?

—

მე შენს სურათზედ ღამე ვლოცულობ
სასომიხდილი, მისუსტებული;
ირგვლივ შევამკე მთის ყვავილებით,
მსხვერპლად შევწირე ჩემივე გული.
ოჰ, ვინ მოსთვალოს, თუ რაოდენს ცრემლსა
ულვთოდ დაუწვავს მკერდი მგზნებარე?
შენს ნათელ აჩრდილს, აწ თავს რომ დამქრის,
ჩემს სანუგეშოდ რა დაიბარე?
ღამეა. ბნელა. არ მესვენება,
ფიქრმა წაიღო გულ-გონება.
სპეტაკი სულით შენ მაგონდები;
შენ ვერ გაიგებ ჩემს მწარე ტანჯვას,
ვერცა ნიავი მოგითხრობს ამბავს,
და უიმედოდ ვთრთი და ვლონდები!

ჩანგს აიღებს და ჩუმად, წყნარად მღერის

ტურფავ, თუ არ გებრალები,
არც ჰანგს უსმენ მონა-ერთგულს,—
მაშ აჩრდილი სხივოსანი
თან რადა მდევს დაობლებულს?

ბნელ ღამეში, მარტოკა მყოფს,
თავს მევლება, მეღიმება;
ხან დაქანცულს ნანას მიმღერს
და ხან ისევ მირისხდება.

შენ შორსა ხარ, სულის სევდავ,
ვერ მოგწვდები გრძნობით აღვსილს;
მაინც ვეტრფი დამწვარ გულით
მსუბუქ მქროლავს შენსა აჩრდილს.

სიმღერა ნელნელა სწყდება. მგოსანს ჩაეძინება. დიდი სიჩუმეა. გარედ ისმის წყნარი გალობა:

ბუჩქებში შაშვს
მარდს, კარგს,
მფრინავს,
საღამო ჟამს
უკვე სძინავს!
მოისვენე, გიმღერთ ნანას!
ტკბილ ოცნებით,
ვით ფრთით მალით,
ჰნატრობ სულით
გარდაფრენას
დაიძინე, გიმღერ ნანას!

მგოსანი სიზმარს ჰხედავს: გამოეცხადება სიყვარული მშვენიერ ასულის სახით. ხელში ლერწმის რტო უჭირავს. მიუახლოვდება მგოსანს და ეტყვის:

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი.

ყრმაო, რად სტირი, რად ჰგოდებ,
რისთვის გიკვნესის გლახ გული?
ვიცი, გიყვარვარ, ერთს მეტრფი
თუმც არა გყევარ ნახული.
ნავს ჩაჯექ, ზღვაზედ გაცურდი,
იქმნებ მიპოვნო ერთგული!
ოცნების მხარეს კოშკი სდგას,
იქ ვლაღობ, მე იქ ვიზრდები;
აქ ასე კვნესით რას გარგებს,
ცრემლებად რისთვის იღვრები?
მეძიე, დამწვარს შენს გულსა
ცის ნამად დავეპკურები;
მომაგნებ,—შენი ვიქნები,
არა და—დაიღუპები.

ჰქრება.

**გუნდი კეთილ სულებისა:**

გზას გადუხვიე ბოროტსა,
მსოფლიოს ამაოებას;
წმინდა მიზანი ეძიოს
სულმა ჩვეულმა გოდებას!
იხილოს შვების სამეფო,
ეტრფოდეს თავისუფლებას;
მიჰქროდეს, უკან მისდევდეს
ლაღად მფრინავსა ოცნებას!
რასაც მივწვდებით, არ გვატკბობს,
ელტვოდე მიუწვდომელსა;
ფასი არა აქვს ახლო მყოფს,
კაცი მისწვდება რომელსა.
გული აღვსილი სურვილით
არ ეგუების სოფელსა;
შორეულს ვარსკვლავს შეჰხარის
სულთანა განუყოფელსა!

ჰქრებიან. მგოსანი გამოერკვევა. ეძახის თავის მხლებელს ერთგულას. მგოსანი დაფიქრებული სდგას. შემდეგ ერთგულასთან ერთად საჩქაროდ უსიტყვოდ გადის.

**ა. შანშიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

და ნატვრა, რაც კი დაეტია მის გულს ქართველის მგოსნისას, შეეტყობინებინა ჩვენთვის თავისის პოეზიის ჰანგი, კილო, ლეიტ-მოტივი, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველა პოეტსა და მწერალს ერთი აქვსო და ვიდრე „გულს მიწას წააყრიდენ“ თვითვე დადუმდა.

კიტა აბაშიძე.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**ჩამოხრჩობა.** 24 ოქტომბერს, დილის 5 საათზე, ტფ. საგუბერნიო საპატიმროს გვერდით ხრამში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი გიორგი გოგინაშვილს, ივანე დარახველიძეს და სარქის ხარიმიანცს.

**სკოლის საზოგადოების კრება.** დღეს, 25 ოქტომბერს, დილის 10 საათისთვის, ტფ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია კრება ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს წასულ წლის ანგარიში, მოხსენება გამგე-კომიტეტისა სკრის მამულის გაყიდვის შესახებ, მოხსენება ბ-ნ ხრამალაშვილისა სამასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ, მოხსენება გიმნაზიის შენობის აღმშენებელ კამისიისა, წინადადება გამგე კომიტეტისა—აღიძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე ქართულ გიმნაზიაში მესამე კლასამდე ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლის შესახებ და სხვ.

**იარაღის საწყობი და ყუმბარები.** როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება, 22 აგვისტოს ბაქოში პოლიციას აღმოუჩენია იარაღის საწყობი და ყუმბარები. ერთი ყუმბარა გატენილი ყოფილა. ამას გარდა, უპოვნიათ ერთი ყუთი პატრონა, გილზები, თოფის სხვა-და-სხვა მოწყობილება და წამალი. დაუპატიმრებიათ 7 კაცი.

**რკინის გზა ბორჯომიდან ბათუმამდე.** ახალციხიდან გვწერენ: „როგორც ამბობენ, მთავრობას გადაუწყვეტია ბორჯომიდან ბათუმამდე რკინის გზა გაიყვანოს. გზა ახალციხეზე არ გაივლის, წნოსიდან გადაუხვევს და ექვს ვერსზე დასცდება ახალციხეს. ამ.იბენ სოფ. წნოსიდან რუსთავამდე ტუნელს გაიყვანენო. ტუნელის სიგრძე 8—10 ვერსი იქნება“.

**მ. კიკნაძის გარდაცვალების გამო.** პარიზიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „გულწრფელად ვგლოვობ ძვირფას ამხანაგის მ. კიკნაძის უდროოდ გარდაცვალებას. განსვენებული მხნე მუშაკი იყო. გადაეცით მახლობელთ ჩემი მწუხარება. გ. დეკანოზიშვილი“.

**ხმოსან ელიავას დათხოვნის შესახებ.** დღეს, 25 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა იურიდიულ კამისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს გუბერნატორის წინადადება ხმოსან ნ. ელიავას დათხოვნის შესახებ.

**ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ მოხდება ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. სხვათა შორის, საბჭომ უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობის მოხსენება ნაძალადევში გამოსასყიდ მიწების შეფასების შესახებ.

**გ. გვაზავას ლექცია.** დღეს, 25 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გ. გვაზავა წაიკითხავს ლექციას ერობის შესახებ.

23 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ავჭალის ქუჩაზე მდგომ გაჭარს გრიგოლ ახნაზაროვს თავს დაეტა ტფ. მოქალაქე პეტრე კრასნოვსკი და მუცელსა და ხელში ბებუთით დასჭრა. კრასნოვსკი დააპატიმრეს. პოლიციის ცნობებით მიზეზი მკვლელის განზრახვისა რომანტიულია. კრასნოვსკის ზაქარია დუდამშვილის დაჭრაც ნდომებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

ტფ. პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ანდრეევის ქუჩაზე (№ 124) მცხოვრებ დიმიტრი ივანეს ძე ზახაროვს აქვს დამალული ვაჭარ დოროჟნოვის მაღაზიიდან მოპარული საქონელიო. გაუგია ისიც, რომ ერთი ნაწილი მოპარულ საქონლისა ზახაროვს გაუგზავნია ბაქოში თავის ნაცნობ ქალის ტატიანა ივანოვისათვის. 22 ოქტომბერს ღამე გაჩხრიკეს ზახაროვის ბინა და ნახეს 150 მანეთის მოპარული ფართლეულობა. ზახაროვმა განაცხადა, საქონელი შევიძინე დოროჟნოვის მაღაზიაშიო. რადგან ეს ტყუილი გამოდგა, ზახაროვი დააპატიმრეს.

23 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა ყაზარ ვართანოვი, რომელსაც აღმოაჩნდა სხვა და სხვა ნივთები ხოსროევის ქარვასლაში ცეცხლის გაჩენის დროს აგოიანცის მაღაზიიდან გატაცებული. ვართანოვი დააპატიმრეს.

23 ოქტომბერს საღამოთი ვეჯინის ქუჩაზე მცხოვრებ ალექსანდრე ნონეშვილის მსახურმა, სენაკის მაზრის მცხოვრებმა სილოვან კანდარიამ (18 წ.) დალია კარბოლის სიმჟავე. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მიზეზი მოწამვლისა არ იციან.

---

**შეცდომის გასწორება.** ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი ტერ-სტეფანოვის მეორე სავაჭრო სკოლის განცხადებაში შეცდომა შეპარულა. დაბეჭდილი იყო, რომ სკოლა იხსნება 1 იანვრიდანაო. უნდა იყოს—პირველ ნოემბრიდან.

# ხმა ბათუმიდან

პალმმა შვა ნიკიტინი; ნიკიტინმა შვა მიღ; მიღმ შვა ალიბეკი; ალიბეკმა შვა ტყუპი: სტაროჟილი და ნიკოლი...*)

ზემოდ მოყვანილი ამოწერილია ბათუმის პრესსის „დაბადების“ წიგნიდან... ხოლო თუ გენეალოგიურ შტოში გამოტოვებულია ზოგიერთი უკანონო შვილი ან უკანონო მამა, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ისინი ჯერ-ჯერობით კიდევ თაკილობენ და სირცხვილით ვერ ამხელენ თავიანთ ნათესავობას, ამიტომ დამტკიცებულნი არ არიან, და „მაძიებელ აზნაურთა“ მდგომარეობას განიცდიან.

მართალია, როდესაც კალამი ხელში ავიღე, აზრად მქონდა მკითხველთან „მემასხრნა“ და ხუმრობის კილოზე მომეთხრო დალოცვილ ბათუმის ამბები, მაგრამ გავითვალისწინე თუ არა ეს „ამბები“, გუნება შემეცვალა და „საქციელი წამიხდა“. მომაგონდა, რომ ჩვენ ქართველები, სულ ვხუმრობთ, მაშინაც კი, როდესაც სახუმარო არაფერი გვაქვს, და გადავწყვიტე—ვამცნო მკითხველ საზოგადოებას ჩვენი გარემოებანი sine ira et studio. თუ „მაინ და მაინ“ ზოგჯერ ira გამოერია, შენდობას ვითხოვ, „რამეთუ კაცი ვარ“.

დიდი ხანი არ არის, რაც არ. ჯორჯაძემ „დროებაში“ წამოაყენა ფრიად საინტერესო საკითხი ქართველების მიერ რუსულ გაზეთების გამოცემის შესახებ. რომ რუსული გაზეთი რუსის კულტურის გამავრცელებელია, უნებური მეტოქე ქართულ გაზეთისა, რომ იგი ხელს უწყობს ისედაც ყოველ სფერაში გაბატონებულ რუსულ ენის განმტკიცებას და ჩვენის დაქვეითებას, ამას, ვგონებ, არავინ უარჰყოფს. მაგრამ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულია ის აზრი, ვითომ რუსული გაზეთის საშუალებით ვიღასაც ვებრძვით და რომ ეს ბრძოლა და ქართველ დაბეჩავებულ ერის ინტერესების დაცვა უფრო ნაყოფიერია რუსულ ორგანოში, ვიდრე ქართულში, რომელსაც „სფერებში“ არა კითხულობენ. ვიწამოთ ამ შეხედულობის ჭეშმარიტება, მაგრამ რა უნდა ვთქვათ ისეთ გაზეთზე, რომელიც ამ მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი უარჰყოფს?!

ჰკითხეთ, რომელი ხალხის ინტერესს იცავს, ან რას ემსახურება ადგილობრივი გაზეთი „ბატუმსკია იზვესტია?“ ეს კითხვა უნებლიედ გებადებათ, რადგან ცნობილ პალმის შემდეგ აქაურ რუსულ გაზეთის სულის ჩამდგმელნი იყვნენ და დღესაც სულ ქართველები არიან. გაზეთი გამოდის ბ-ნ ვ. ბერეჟიანის რედაქტორობით. რედაქციის ხელმძღვანელი წრეც ქართველთაგან შესდგება. მათ შორის უმთავრესი ადგილი უჭირავთ ვინმე სტაროჟილს (ფსევდონიმია) და ერთ ქართველ „სტუდენტს“... საწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს „გაზეთი“, რომელიც დღე მუდამ გაჰკივის „პროგრესსიული“ ვარო, ბათუმს იქით არა ვრცელდება და ამიტომ ქართველ საზოგადოებას საშუალება არა აქვს გაიგოს, თუ რა ტალახის წუმპეს წარმოადგენს იგი...

სხვათა შორის, 3—4 თვეა, მას შემდეგ, რაც ი. ბერეჟიანი და ხომერიკი საავადმყოფოდან დაითხოვეს და ეს პატიოსანი გაზეთი მტრად გადაეკიდა თვით-მმართველობას და ყოვლად შეუწყნარებელ კილოთი ლანძღავს ქალაქის თავს, მისს მოადგილეს და თხოულობს მათ „ოსტავკას“... ეს გახდა მიზეზი გაზეთის ამხედრებისა.

მკითხველს მოეხსენება, რამდენი ბრძოლა და ენერგია დასჭირდა აქაურ ქართველებს, ვიდრე შესაფერ ადგილს მოიპოვებდა ქალაქის თვითმართველობაში?**). მე არ შევეხები იმ საკითხს, რა განუზომელი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პირობაში იმ ფაქტს, თუ ვის ხელშია ქალაქის თვით-მმართველობა. ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს თავის თავად(. იმას კი აღვნიშნავ, რომ სწორედ ეს მნიშვნელობა იყო მიზეზი, რომ ბ-ნმა პალმმა მთელი თავისი ძალ-ღონე შეალია „ქართველ უპრავასთან“ ბრძოლას. პალმის პროგრამმა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ პროგრამმა იყო და მის განხორციელებას აშკარად ემსახურებოდა, ამიტომ იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, ძირი გამოეთხარა ამ „უპრავისათვის“...

ახლა ჰკითხეთ ბ-ნ სტაროჟილს და მის დამქაშებს, რითი განირჩევა მათი „პროგრესსიული“ „ბატუმსკია იზვესტია“ პალმის „ჩერნომორსკი ვესტნიკისაგან“ ქართველ ხალხის ინტერესების დაცვის მხრივ? ნუ თუ საკმარისია „პროგრესსიულის“ სახელის მოსაპოვებლად რაღაც უშინაარსო, უკბილო „მეთაურების“ დეჟვა ოქტომბრისტების წინააღმდეგ? (საბრალო ოქტომბრისტები, რას მოიფიქრებდნენ, თუ ბათუმში ასეთი ძლიერი მტერი გაუჩნდებოდათ!) ან იქნება უსამართლო და დაუმსახურებელი დევნა ქართულ „უპრავისა“, მისი ყოველ ნაბიჯის ტენდენციოზური ახსნა, ფაქტების დამახინჯება, უსინიდისო ცილის წამება და ქუჩურ უწმაწურ კილოთი ლანძღვა-გინება მაშინაც კი, როცა ეს ყველასათვის დაბალი ღობე, „უპრავა“ ცამდის მართალია, და იმავე დროს „სხვაგან“ ლაქუცი, ნუ თუ ეს შეადგენს პროგრესიულ გაზეთის პროგრამმას? იყვირეთ ბატონებო, რამდენიც გსურდეთ: „ძირს ანდრონიკაშვილი, ძირს ყურული“! ვიცით, რომ დიდი ნიჭი გაქვთ მაკლერობისა და თქვენი რედაქცია ადვილად იკისრებს (აკი აცხადებდით!) სამაგიეროს „გამოწერას“, მაგრამ ერთი ეს გვიბძანეთ, ნუთუ მართალია მთელი ბოროტება ამ ორ ქართველშია მოთავსებული და იმიტომ გადგიათ ყელზე? მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო: მთელი ოლქის მმართვა-გამგეობა და თვით ბათუმისაც ხომ სხვის ხელშია: არა აბა ერთი კრინტი დასძარით, აბა გაბედეთ და შეეხეთ „ჩვეულებრივ მოქალაქობრივ გამბედაობით“ ვინმე უკანასკნელ მეეზოვის „პიროვნებას“ ისე ძლიერად კი არა, როგორც ანდრონიკაშვილს, ყურულს, გამყრელიძეს და ექიმ ელიავას ათახსირებთ, არა სულ ოდნავ, ცოტათი!.. ვიცი, თქვენ ამას ვერ გაჰბედავთ, ვერ გაჰბედავთ იმიტომ რომ თქვენი „პროგრამმა“ მუდამ „примѣнительно къ подлости“-ის პროგრამმა იყო და არის, და ნუ გვწყინებათ, თუ არც ერთი პატიოსანი ადამიანი თქვენ ვერ გამოგყვებათ. თქვენ გინდათ მკითხველს თვალი აუხვიოთ და ფონს იმითი გახვიდეთ, რომ თქვენი გაზეთი ერთი წლის განმავლობაში 850 მანეთით დააჯარიმეს?.. Sancta simplicitas! ერთი, რომ სხვა გაზეთების რედაქტორები ახლაც ციხეში სხედან, დაჯარიმებით ხომ „გოლოს კავკაზაც“ კი რამდენჯერმე დააჯარიმეს, მაგრამ დავანებოთ ამ თქვენთვის „შეურაცხმყოფელ“ შედარებას თავი.

850 მანეთი? ჭეშმარიტად, ძალიან ძვირად დაუფასებიათ თქვენი „პროგრესსიული მიმართულება“, თუ მართლა ამდენი გადაგახდევინეს. გვიკვირს, რომ კვიტანციები ან პოლიციის მოწმობა არ წარგიდგენიათ „მომავალის“ რედაქციისთვის, რათა თქვენი „პროგრესისტობა“ ყოველ ეჭვს გარეშე ყოფილიყო. მეორე: თქვენ იმას კი არავინ გედავებათ, ადამის ჟამის დროს რას წარმოადგენდა „ბატ. იზვესტ.“-ს წინაპარი! **ჩვენ დღევანდელ და მის „ახლო ნათესავებზე“** გვაქვს საუბარი, და გკითხავთ, როდის იყო, რომ ადმინისტრაცია თქვენ მტრულად გეკიდებოდათ, ჯარიმებით გახრჩობდათ ან ქალაქიდან გზავნიდათ? ჩვენ ვიცით, რომ თქვენი მეგობარი ალიბეკი, რომელიც ქართველებს „პაპუსებს“ უწოდებდა, დიდად და დიდად სასურველი და კარგად მიღებული გვამი ბრძანდებოდა და არსად გაგვიგონია მისი მისი „ექსორია“. პირიქით, ჩვენ ყური მოვკარით და თქვენ ხომ, რასაკვირველია, უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ თვითონ მას ჰქონდა უფლება სხვისთვის დაენიშნა საცხოვრებელი ადგილი.

რაც შეეხება დღევანდელს თქვენს გაზეთს, იგი იმ ტიპის გაზეთია, რომელსაც უკვდავმა შჩედრინმა „Помои“ უწოდა და ნუ თუ აღარ გახსოვთ, როგორ მტკიცე გარანტიას ჰპირდებოდა „Помои“-ს რედაქცია თავის ხელისმომწერთ: ჩვენ გაზეთს მთავრობა არა თუ არასოდეს არ დახურავს, სიტყვას გაძლევთ, რომ „პრედოსტერეჟენიესაც“ კი არ მივიღებთო... დიაღ, ბ-ნო სტაროჟილო, თქვენი დღევანდელი „მოღვაწეობა“ არის ანტისოციალური, ანტიეროვნული... ვიტყვი უფრო გადაჭრით: თქვენს „ლიტერატურას“ დღევანდელ **ადგილობრივ პირობებში** ნამდვილი პროვოკაციის სუნი უდის! აი სწორედ ამიტომ ზოგიერთ ადგილას ძალიან გაფასებენ და თქვენ კი თქვენის უბადრუკ გონებით ვერც კი მიმხვდარხართ, რა როლსა თამაშობთ, თუ რა როლს გათამაშებენ!..

ბათუმში მრავალი უცხო მოდგმისა და ტომის წარმომადგენელი ქართველის მოწინააღმდეგე და ბუნებრივი მეტოქეა. ბიუროკრატიამ ისიც კი მოახერხა, რომ ქართველი მაჰმადიანები ჩამოაშორა თავის ძმებს და გადაუბირა. ისეთ დევნას და შევიწროებას აქ არც ერთი ერი არ განიცდის, როგორც ქართველი. ქალაქის უკანასკნელ არჩევნებზე ყველა ეროვნება შეერთდა ქართველების წინააღმდეგ (პირველი არჩევნები, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს, მთავრობამ მოშალა) და ამის ბრალია, რომ დღეს ბათუმის საბჭოში რამდენიმე „ჭეშმ. რუსთა კავშირის“ წევრიც მოჰყვა. ჩვენი პროგრესისტი-პუბლიცისტები“ კი *) ისე გაუტაცნია კერძო შურისძიებას, რომ არა თუ საზოგადო საქმე აღარ ახსოვთ, **დაბეჭდლებასაც** კი აღარ ერიდებიან (იხ. № 25). თუ პალმის მუდმივი ჟინი ქართველებში სოლიდარობის და შეკავშირების საჭიროებას ჰბადებდა და აძლიერებდა, დღეს ციხე შიგნიდან ტყდება და შედეგი ამ რენეგატთა მოღვაწეობისა არის მთელი საზოგადოების დაქსაქსვა და არევ-დარევა, რომელიც, ცხადია, მეტად მწარე ნაყოფს გამოიღებს ახლო მომავალში. ამ არევ-დარევის მიზეზი და ისტორია დღემდის მხოლოდ ბათუმში იცოდნენ, დღეს კი „მომავალის“ და „ზაკავკაზიე“-ს წყალობით მთელმა საქართველომ გაიგო და, უეჭველია, ღირსეულად დააფასა აქაური გაზეთის „საქმენი-საგმირონი“. ძაღლის თავი დამარხულია იმ გარემოებაში, რომ გაზეთის ხელმძღვანელნი მეტად დაინტერესებულნი არიან სამსახურიდან დათხოვნილ ი. ბერეჟიანის და ხომერიკის ბედით. ეს უკანასკნელნი, ერთი ზედამხედველი და მეორე მისი თანაშემწე, ქალაქის საავადმყოფოში მსახურობდნენ, მაგრამ რაღაც ანგარიშების გამო ერთმანეთს „აეშალნენ“. უწყებს ერთმანეთს სხვა და სხვა უწესო მოქმედებაში მტყუნება. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ მოითხოვა რევიზია. სარევიზიო კომისიაში იყო სამი კაცი, მათ შორის გამყრელიძე. რევიზიას მოჰყვა ბერეჟიანის და ხომერიკის დათხოვნა, რადგან სავსებით დამტკიცდა მათი დანაშაული. მაგრამ რათა სარევიზიო კომისიის აქტის ძალა შეესუსტებინათ ბ-ნ გამყრელიძეს მოუგონეს რაღაც ხრიკი, და ისეთი იეზუიტური მიმართულება მისცეს მთელ საქმეს, თითქო დანაშავე დათხოვნილი მოსამსახურენი კი არა ყოფილიყვნენ, არამედ სარევიზიო კომისია (მეტადრე ბ-ნი გამყრელიძე), ყურული, რომელიც იმ დროს ქალაქის თავის მოადგილედ იყო და შემდეგში მთელი გამგეობა... ერთის სიტყვით, გამოვიდა „Съ больной головы да на здоровую“.

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი სტაროჟილი გვარწმუნებს, ყველანი ჩვენ თანაგვიგრძნობენო, მე ვამტკიცებ, რომ **ყველანი**, ისინიც კი, ვის სასარგებლოდ გაზეთი ამდენ ოფლსა ღვრის, ისინიც კი მხოლოდ ზიზღით უყურებენ მისს მოღვაწეობას. ისეთი გულუბრყვილო ახლა აღარავინ არის, რომ ფარისევლობა და გულწრფელობა ერთმანეთში ვერ გაარჩიოს. ეს ვაჟბატონები კი თავიანთ ნაჯღაბნებს „თავისუფალ კრიტიკის ქარცეცხლს“ უწოდებენ. პალმიც ხომ თავის „დანოსებს“ „საზოგადოებრივ კონტროლის სახელით“ ასაღებდა!..

ასეთია დღეს ბათუმელ ქართველ საზოგადოების ვითარება. ჭორი, მითქმა-მოთქმა, ინტრიგა, გველაძუობა, აი რითი იკვებებიან დღეს აქაური ქართველები. რაღად უნდა გაგვიკვირდეთ, რომ როდესაც მთელ საქართველოში ყველგან გადაიხადეს ილიას სიკვდილის დღის თავზე პანაშვიდები, აქ არც კი არავის მოჰგონებია. მე შენ გითხრა, „პროგრესიული“ რედაქცია იკისრებდა ასეთ საქმეს!..

როდის მოეღება ბოლო ასეთ მოქმედებას ადგილობრივ გაზეთისას, იკითხავს მკითხველი. არასოდეს, ვიდრე საკუთარი სიმყრალე არ დაახრჩობს მას, მის სულის ჩამდგმელებს, ისე როგორც დაიღრჩო ბევრი მისი წინაპარი. ქართველ საზოგადოებას კი ვურჩევთ, გონს მოვიდეს, ჩაუფიქრდეს თავის მდგომარეობას და ვიღაც მიკროცეფალიებს ნუ აჰყვება, თორემ მერე ბევრს ინანებს, მაგრამ

„წამხდარსა საქმეს რას არგებს
„მერმედა თითზე კბენანი?“

H.

*) რედაქციამ მიიღო ბათუმის ნოტარიუსის ბესტავაშვილის მიერ შემოწმებული პირი „მეტრიკისა“. ახლო-ამწყიძე.

**) ერთი საუკეთესო მოღვაწე და იმ დროის მებრძოლი გრ. ვოლსკი მხოლოდ ამ დღეებში ძიაბარა მიწას ბათუმელმა ქართველობამ. ყველას ახსოვს მისი მედგარი ბრძოლა ბ-ნ პალმთან. „ბატუმიზვესტიაა“-ს რედაქციამ კი, სადაც თურმე პალმის ძველ მეგობრებს დაუბუდიათ და რომელიც სწორედ იმ საქმის დამხობას ემსახურება, რასაც განსვენებულმა თავისი საუკეთესო დღენი მიზწირა, გვირგვინით „შეამკო“ ვოლსკის კუბო! ჩვენ გვაოცებს რედაქციის კადნიერება!

*) 1905 წელს ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა ერთი წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ „ჟანდარმები-პროგრესსისტები“.

# პურის თესვა ახალი სისტემით

საყურადღებო სხდომა მოხდა 23 ოქტომბერს კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. წევრებს გარდა სხდომას დაესწრნენ გარეშენიც. საგანი სხდომისა იყო ი. და ო. ჯაბადარების მოხსენება პურის თესვის ახალ სისტემის შესახებ.

მოხსენების განხილვამდე, სხდომა შეეხო საბადოსნო სკოლის მასწავლებელთა შტატს. საბჭოს გადაუწყვეტია, გააუქმოს საბადოსნო სკოლაში ეკონომის ადგილი და აგრეთვე მეურვეების თანამდებობა და [illegible] საბუნების შემასწავლებლის [illegible] ლებელი ([illegible]) [illegible] გან გამოირკვა, რომ საბადოსნო სკოლის ახალი მზრუნველი თავ. ნ. გ. არღუთინსკი ჯერ ვერ გასცნობია დაწვრილებით სკოლის მდგომარეობას, ამიტომ თავმჯდომარემ ეს საკითხი მოხსნა და დაავალა მზრუნველს, შემდეგ კრებისათვის წარადგინოს თავისი აზრი.

შემდეგ კრება შეუდგა საბადოსნო სკოლის გამგის არჩევას. საბჭომ კანდიდატად ამ თანამდებობაზე დაასახელა ესლანდელი ფაქტიური მმართველი სკოლისა ვ. გ. მელია. ალ. ბ. ევანგულოვმა მოითხოვა, ატესტატი წარმოგვიდგინეთ ყველა კანდიდატისაო. რადგან წესდებით მმართველის კანდიდატი საბჭოსა და მზრუნველის დასახელებით უნდა იქმნეს წარდგენილი და უსათუოდ კრების მიერ არჩეული, ამიტომ პირდაპირ კენჭის ყრას შეუდგნენ. 22 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5 ხმისა საბადოსნო სკოლის მმართველად არჩეულ იქმნა ვ. გ. მელია.

შემდეგ კრებამ მთელი საღამო ქ-ნ და ბ-ნ ჯაბადარების მოხსენებათა განხილვას მოანდომა. ბ-ნ ივ. ჯაბადრის მოხსენება შეეხებოდა პურის კვალობრივ კულტურის ცდას. სოფელ საგარეჯოში ბ-ნ ჯაბადარს საცდელად აუღიათ სამი დესეტინა მიწა ისეთ მაღლობზე, რომელიც ზღვის დონედან 1200 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. წინად ეს ადგილი საძოვრად ჰქონიათ. ადგილი თუმცა ურწყავია, მაგრამ საკმაოდ ნამიანი. ადგილი ჯაგნარი და შიგა და შიგ ქვიანი ყოფილა. ჯაბადარს დახნულ ადგილის შუა ნაწილი აუღია და 1908 წ. შემოდგომიდან შესდგომია მუშაობას. სულ დასათესად მოუმზადებია 439 ოთხ-კუთხი საჟენი. ეს მიწა სამ ნაჭრად გაუყვია: პირველი ნაჭერი შეიცავს 150 საჟენს, მეორე 150 და მესამე—139 საჟენს. პირველი და მეორე ნაჭერი დაუთესია გადარჩეულის თესლით, ჩვეულებრივ სისტემით, როგორც ჩვენში შიღებული და ორივე ნაჭერი გაუპატივებია ტომას შლაკით. სულ ორივე ნაჭერს დასჭირებია ამ პატივისა $1/4$ ფუთი. მესამე ნაჭერი-კი კვალებად დაუყვია. თითო კვალი სიგრძით 15 არშინი, სიგანით 5 გოჯი ყოფილა. კვალებად დაყოფილი ადგილი ბ-ნ ჯაბადარს გაუყვია კიდევ ორად. ერთში (№ ა) 9 საჟენი მიწა დაუტოვებია, ხოლო მეორეში (№ ბ)—130 საჟენი. № ბ-ში დაუთესია გადარჩეული თესლი ხელით, თითო-თითო მარცვალი და თესლსა და თესლს შუა დაუტოვებია 5 გოჯის მანძილი. სულ ამას დასჭირებია 9 გირვანქა თესლი თავთუხისა, დოლის პურისა და რუსულ პურისა, რომელსაც ჩვენში „ზოზოდას“ ეძახიან. პურის თესვა დაუწყიათ 23 აგვისტოს და გაგრძელებულა 7 სექტემბრამდე. ამავე ხანში დაუთესიათ 1 და 2 ნაჭერიც. ასეთი გაჭიანურება მუშაობისა ახსნა მომხსენებელმა იმითი, რომ კვალებში პურის თესვას არ ვიყავით მიჩვეულნი და დღეში 6—7 კვალზე მეტს ვერ ვასწრებდითო. 20 სექტემბრამდე წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა და ამის გამო მთელი თვის განმავლობაში ჯეჯილი არ გამოჩენილა. 20 სექტემბრის შემდეგ წვიმა მოსულა და ჯეჯილსაც ამოუხეთქავს და 7 ოქტომბერს უკვე სამ-ფურა ჯეჯილით დაფარულა მიწა. ამ დროიდან შესდგომიან გადარგვას. რადგან დრო არ ჰქონიათ, მოუსწრიათ მხოლოდ ერთი ნაჭრიდან (№ ბ) მეორე ნაჭერში (№ ა) (9 საჟენი) გადარგვა. № ბ-ს კვალები, სადაც თესლი ჩაყრილი იყო თითო გოჯის სიშორეზე, დაუთხელებიათ იმითი, რომ სამ-ფურად ამოხეთქილი ჯეჯილი გადაურგავთ № ა კვალებში. თითო დერი მომხსენებელს ამოუღიათ წაწვეტიანებულ ჯოხით და ამავე ჯოხით კვალში ჩაუდგავთ. ფოთლებამდე აურიდნენ თურმე ტომას შლაკს.

ცდას მშვენიერი ნაყოფი გამოუღია. პირველ ნაჭერს (ზომით 150 საჟენს), რომელზედაც პური ჩვეულებრივად ფოცხით დაუთესავთ (სულ ერთი ფუთი), მოუცია 6 ფუთი პური; მეორე ნაჭერს (ზომით 150 საჟენს), რომელიც შე-

რო დაუმუშავებიათ, ერთ ფუთ თესლზე მიუცია 10 ფუთი ხორბალი; მესამე ნაჭერ (130 საჟენს), რომელიც კვალებად დაიყო და ზედ 9 გირვანქა თესლი ხელით დაითესა (ცარიელი ადგილი რომ გამოვაკლოთ, დარჩება სულ 65 საჟენი), მიუცია 10 ფუთი ხორბალი სულ წმინდა მარცვალი; ხოლო № ა-ს (ზომით 9 ოთხ-კუთხი საჟენს), მიუცია $2^{1}/_{2}$ ფუთი. ნამდვილად 9. საჟენ მიწიდან დათესილი ყოფილა მხოლოდ $4^{1}/_{2}$ საჟენი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველ ცდის დროს მან შეცდომები ჩაიდინა გამოუცდელობით. მაგ. თესვა 15 აგვისტომდე უნდა გათავებულიყო და გადარგვა-კი არა უგვიანეს 15 სექტემბრისა. ასეთი შეცდომა რომ არა ყოფილიყო, მოსავალი უკეთესი იქნებოდაო. მიუხედავად ამისა, შედეგი მაინც დიდად საგულისხმოა. ერთმა და იმავე სათესლე პურმა, ერთსა და იმავე ნიადაგზე, ერთნაირად გაპატივებულმა, მხოლოდ სხვა-და-სხვა სისტემით დამუშავებულმა, სხვა-და-სხვა ნაყოფი გამოიღო. საუკეთესო მოსავალი მისცა გადარგულმა ჯეჯილმა და შემდეგ მარცვლებით დათესილმა. ეს ცდა საფუძველს აძლევს მომხსენებელს განაცხადოს, რომ ერთი დესეტინა მიწაზე შეიძლება 500 ფუთ ხორბლის მოყვანა.

ამ ცდით წახალისებულ ბ-ნ ჯაბადარს წელს შედარებით მეტი ადგილი მოუმზადებია დასათესად. წინ-და-წინვე დაუხნავს 1,100 საჟენი მიწა. თესვა მალე გაუთავებია და გადარგვაც სამუდამად ამოხეთქილ ჯეჯილისა 3 სექტემბრამდე მოუსწრია. ნახევარი დახნულ ადგილისა გადარგვითი სისტემით დაუმუშავებია, ხოლო მეორე ნახევარი— შემოთოხნითი სისტემით (მარცვლებად დათესვა) შარშან 439 ოთხ-კუთხ საჟენ მიწის დამუშავებაში ბ-ნ ჯაბადარს დაუხარჯავს 28 მან., ხოლო წელს 1100 საჟენის დამუშავებაში—17 მანეთი. შარშან კვალებრივის სისტემით მარტო 139 საჟენი დაუმზადებია, წელს კი— 1100 საჟენი. წელს ბ-ნ ჯაბადარს უმთავრესად ქალები დაუხმარებია და ნაკლებ ფასად დასჯდომია (ნაცვლად 80 კაპ.—40 კაპ.) დესეტინის დამუშავება (ქალების ხელით) ჯდება 30 მან. მოსავალი კი გადარგვის სისტემით 500 ფუთამდეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბ-ნ ჯაბადარს პური არ გაუღეწია ჩვენებურად, არამედ დაუცეხვია და ამიტომ მიწა შეურევლად და სულ სუფთა ხორბალი მიუღია, ჩალაც საუკეთესო გამოსულა.

საინტერესო იყო აგრეთვე მოხსენება ქ-ნ ოლ. ჯაბადრისა. შისი მოხსენება შეეხებოდა ახალ სისტემის მნიშვნელობას თანამედროვე სოციალურ პირობებში. იგი ამტკიცებდა, რომ 2 თვის მუშაობას წელიწადში შეუძლიან მთელი წლის სარჩო-საცხოვრებელი მისცეს კაცს. თუ ქალი ხელს მიჰყოფს ამ საადვილო მუშაობას, 4 თვე დასჭირდება სამუშაოდ. 90 საჟენ მიწის დამუშავებით თავის-თავსაც გამოჰკვებავს და ორ შვილსაცაო.

მოხსენებებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვიეს და ამის გამო სხდომა, დაწყებული 8 საათზე, ღამის 1 საათზე გათავდა. კამათში მონაწილეობა მიიღო მგ. იოსელიანმა, ათანასიანცმა, კანჩერმა, ბაგრამოვმა, ოკუნიანცმა, ვერმიშევმა, სოფლის მუშა გლეხმა არავიაშვილმა, კარაკოზოვმა, ეირანოვმა, ქალანთარმა, ვ. მაჩაბელმა და სხვებმა.

ორატორებმა მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს ამ საყურადღებო ცდისათვის.

ბოლოს თავმჯდომარის წინადადებით კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, სცნობს რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ქ-ნ და ბ-ნ ჯაბადრების ცდას კვალობრივ სისტემას პურის თესვა-მოყვანის საქმეში სთხოვს მათ განაგრძონ თავიანთი მუშაობა-ცდა. მიუთითონ ჯაბადრების ცდაზე აგრონომებს და სპეციალისტებს, რომ მათ იხელმძღვანელონ მათი ცდით, თითონაც შეუდგნენ მუშაობას. შემდეგ რამდენიმე ცდისა, თუ ნაყოფი ისეთივე იქნა, როგორიც ჯაბადრების მოხსენებაშია მოყვანილი, სამეურნეო საზოგადოება მზად იქნება, ეს ცდა მიწის მუშა-გლეხების სახელმძღვანელოდაც მიიღოს.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** „მშობლიურ ჭერ ქვეშ“ ზუდერმანისა ისეთსავე საკითხს ეხება, როგორსაც მისი სხვა პიესები—პატიოსნებას.

ეს პიესა ქართულს ენაზე ბევრჯელ წარმოუდგენიათ.

პიესაში მთელი ყურადღება ორ უმთავრეს მომქმედზეა მიქცეული, მამა-შვილზე. ამ როლებს ასრულებდნენ ბ-ნი გუნია და ქ-ნი ჩხეიძე. ორთავენი მშვენიერები იყვნენ. დანარჩენები საზოგადოდ უფერულნი იყვნენ. უკანასკნელი მოქმედება მშვენივრად ჩაატარეს ბ-ნმა გუნიამ და ჩხეიძემ.

ხალხი ლოჟების გარდა საკმაოდ იყო. ლოჟებში კი „თავისიანების“ მეტი არავინა სჩანდა.

დღეს, ითამაშებენ „უბედურ ნაბიჯს“ ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით.

—

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება მელოდრამა დე-კურსელისა „ორი ჯიბგირი“, თარ. ვ. აბაშიძისა. მონაწილეობას იღებს მთელი დასი და სხვათა შორის, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ს. სვიმონიძე.

—

**ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** მსახიობის ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი გაიმართება ქართულ თეატრში 29 ნოემბერს. იუბილეის მომწყობმა კომიტეტმა და დრამ. საზ. გამგეობამ უკვე დაუგზავნა ბარათები სხვა და სხვა დაწესებულებებს იუბილეიში მონაწილეობის მიღების შესახებ.

—

**მემუსიკეთა საზოგადოება.** პარასკევს, 23 ოქტომბერს, პრეზიდიუმის ასარჩევად მოხდა კრება ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან დაარსებულ მემუსიკეთა საზოგადოებისა. საზოგადოებას აზრადა აქვს სახალხო სახლში სისტემატიურად მართოს კონცერტები და ოპერები. კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ტერ-დავიდოვი, თანაშემწედ რატილი, ხაზინადრად ბ-ნი პრივიტერი, მდივნად ბ. დიაჩენკო, ადმინისტრატორად დოლიძე.

—

**მემუსიკეთა და მომღერალთა კრება.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში ხვალ, 26 ოქტომბერს, საღამოსთვის დანიშნულია კრება მომღერალთა და მემუსიკეთა. კრებას აზრადა აქვს, ბ-ნ ფალიაშვილის მეთაურობით, შეადგინოს საორკესტრო და მომღერალთა გუნდი.

## სასამართლო

**თავ-დასხმა.**

24 ოქტომბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე რ. ჭ-ს მაზრის ს. წესის მცხოვრებთა მინა მაისაშვილისა და აზ. ონ. ყიფიანისა.

1909 წელს, თიბათვის შუა რიცხვებში, ნაშუაღამევის 12 საათზე, დუშეთის მაზრაში, ერთი-ერთმანეთზე ცოტა დაშორებით, მინავლებულან მეურმეები: კ. რაზმაძე, სოლომონ ხულთაური, იოსებ ბუთიკაშვილი, შაქრო ბერიტაშვილი და დათა ბიჩნიგაური. როდესაც რაზმაძე დაახლოვებია სოფ. წიწამურას, ხევიდან ამომხტარა ორი შეიარაღებული უცნობი და მოუთხოვია გაჩერება. რაზმაძე უცნობებს დანით დაუჭრიათ და წაურთმევიათ უკანასკნელი ერთმეტი შაური. რაზმაძე რომ გაუშვიათ, ასეთივე ბედი სწვევია მეურმეს სოლომონ სულთაურს, წაურთმევიათ ხურჯინი და სხვა. ბუთიკაშვილისათვის წაურთმევიათ 20 მანეთი, ხოლო დათა ბიჩნიგაურისთვის 13 აბაზის წართმევის გარდა, უცემიათ და დაუჭრიათ კიდეც.

მეორე დღეს ეს ამბავი გაუგია სოფელ ახატნის მამასახლისს. სრულიად შემთხვევით ამ ბოროტ-მოქმედებს გაუვლიათ ამ სოფელში. მამასახლისს ეჭვით დაუტუსაღებია და გაძარცული ნივთები და ფული ამოუჩენია. შემდეგ მაისაშვილი და ყიფიანი პასუხის-გებაში მიუციათ ოთხი კაცის გაძარცვისათვის.

ბრალდებულმა მაისაშვილმა სასამართლოში განაცხადა. მე და ყიფიანი წავედით სამუშაოს საძებნელად დუშეთის მაზრაში, ფეხით მგზავრობით ძალიან დავიღალეთ და პურიც ძალიან მოგვშივდა. გზაზე არაყი ვიყიდეთ, დავლიეთ და შემდეგ აღარ ვიცი, რა ჩავიდინეთ სიმთვრალეში, მხოლოდ მახსოვს, რომ კაცი გავძარცვეთო. ბრალდებულმა ყიფიანმა კი სულ უარი სთქვა—არაფერი მახსოვსო.

გაძარცულებმა დაამოწმეს ზემოდ აღწერილი ამბავი და სთქვეს, ბრალდებულნი მთვრალები არ იყვნენო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო მ. მაისაშვილი და ონ. ყიფიანი და მიუსაჯა— ექვს-ექვსი წლით კატორგაში გაგზავნა.

**იარაღის წართმევა.**

ამავე დღეს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი ლეჩხუმის მაზრის სოფელ ქვიშის მცხოვრებთა ბეყო ნემსაძისა და დისიონ ონიანისა.

1906 წელს, მოძრაობის დროს, იანვრის რიცხვებში, ბრალდებულნი ბ. ნემსაძე და დ. ონიანი დასცემიან თავ. დავით გარდაფხაძეს და წაურთმევიათ ნაბადი, ხანჯალი და რევოლვერი. გამორკვეულა, რომ ესენი ყოფილან გაგზავნილები თავ. გარდაფხაძესთან 400 რაზმელისაგან.

ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაურჩევია და მიუსაჯნია ორივე ბრალდებულისათვის რვა-რვა წლით კატორგაში გაგზავნა.

პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## უცხოეთი

**რუსეთ-იტალიის კავშირი.**

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ამ რამდენიმე დღის წინად რუსეთის მეფე ეწვია იტალიას. იცის ისიც, რომ იტალიისა და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები რაკონჯიში შეხვდნენ ერთმანეთს და თათბირი იქონიეს საერთო საქმეებზე. ამ შეხვედრას რუსეთ-იტალიის კავშირი მოჰყვა. საფრანგეთის გაზეთები და დიპლომატები გამარჯვებას ულოცავენ რუსეთის დიპლომატიას. შარშან ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ერენტალმა რუსეთ-ავსტრიის შეთანხმება ნოვიბაზარის რკინის გზის პროექტით. შემდეგ ამაზე შორს წავიდა, სრულიად უბრალოდ, საქმის გაურთულებლივ შეიერთა ბოსნია-ჰერცეგოვინა. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი დამარცხებული გამოვიდა ბალკანეთის საქმეებზე დიპლომატიურ მოლაპარაკებიდან. ერენტალმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. იზვოლსკის ისღა დარჩენოდა, რომ საფრანგეთ-ინგლის კავშირს დაახლოვებოდა. რუსეთ-იტალიის შეთანხმება ყველას დიდ გამარჯვებათ მიაჩნია, რადგან ამ შეთანხმებას ზურგი გამაგრებული ექნება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა აშკარად გამოსთქვა, რომ რუსეთ-იტალიის შეთანხმებას კარგი ნაყოფის გამოღება შეუძლიანო. პიშონმა ჟურნალისტებს გამოუცხადა, ამიერიდან რუსეთი და იტალია თანხმობით იმოქმედებენ ბალკანეთის საქმეებში. ამასთან ინგლისი და საფრანგეთიც პირდაპირ მონაწილეობას მიიღებენ ბალკანეთის საქმეებში. ბალკანეთის სახელმწიფოებიც უფრო კარგად იგრძნობენ თავს, ერთი რომელიმე დიდი სახელმწიფო ისე დიდ გავლენას ვეღარ იქონიებს საქმეებში.

პიშონმა გაზეთ „რეჩის“ თანამშრომელს სხვათა შორის უთხრა, უკვე ფაქტია ოსმალეთის განახლება-აღორძინება და ბოლგარიის სამეფოს დამოუკიდებლობა, ჩვენ ანგარიშს უწევთ ამ ორ სახელმწიფოს, მაგრამ ჩვენი სურვილია შემდეგშიც არსებული მდგომარეობა (status quo) ბალკანეთში დამოუკიდებელი იყვეს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოთაგან. ჩვენ უზრუნველვყავით არსებული მდგომარეობა მთელი ევროპის მშვიდობიანობის გულისთვის. იტალიასთან შეთანხმება ჩვენი მოკავშირე რუსეთის სახელმწიფოსი მეტად გასახარისი მოვლენაა, ვინაიდან იტალია და საფრანგეთი ისე გადაკიდებულები არიან მეგობრულად, რომ მისი რუსეთთან შეთანხმებით შეიძლება ევროპის საქმეებზე კარგი გავლენა ვიქონიოთ და თვით იტალიის მდგომარეობაც გაძლიერდესო.

**არდებილის ამბები.**

გუშინდელმა სააგენტოს დეპეშამ გვამცნო, რომ სათარხანი ადერბილიდან წავიდა თავრიზსაო. ეხლა ბაქოს გაზეთების სიტყვით ვტყობილობთ, რომ არდებილში შახსევანებს ძალიან გაუმარჯვიათ, სძარცვავენ ბაზარსა და ქარვასლებს. მოიტაცეს ჩალავდრების დაბარგილი საქონელი. არდებილს ცეცხლი გაუჩინეს. არდებილის დასახმარებლად გაემართა ქართველი სერგო (გურჯი სერგო) 700 კავკასიელ ფიდაით.

**საბერძნეთის აჯანყება.**

საბერძნეთის დედა ქალაქ ათინაში დიდძალი ჯარი იყრის თავს. პროვინციიდან ყოველ დღე მოდის ჯარი და საზოგადო დაწესებულებებში ბინავდება. პარლამენტის შენობაშიაც ჯარი შეიყვანეს. პალატის სხდომებს ესწრება ოცდაათი დეპუტატი. მოსალოდნელია შეტაკება მოხდეს. სამხედრო კავშირი არა სცხრება და სამოქმედოთ ემზადება. მთავრობის წრეებში ძალიან შეფიქრიანებულნი არიან.

**ესპანელ რევოლიუციონერთა განთავისუფლება**

მაურას კაბინეტის გადაყენებით ცოტა ფერი იცვალა ესპანიის სისასტიკემ. ახალი სამინისტრო როგორღაც ლიბერალობას იჩენს. გაზეთებს ატყობინებენ მადრიდიდან, ესპანიის დედა-ქალაქიდან, რომ მანჯუისის საპყრობილედან გაანთავისუფლეს ყველა რევოლიუციონერებიო.

**კონფერენცია კრიტეს საკითხის გამოსარკვევად.**

ოსმალეთის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა კრიტეს საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენციაზე გადაიტანოს საკითხის გადაწყვეტა. ამ სახით აიდეც მიმართეს სახელმწიფოებს. კონფერენცია რომში შეიკრიბება.

**ლეიტენანტ ტიპალდოსის დაპატიმრება**

საბერძნეთის ამბოხებმა თავის ამშლელი ლეიტენანტი ტიპალდოსი ცხრა ამხანაგით დააპატიმრეს. მინისტრთა საბჭომ თათბირი იქონია იმაზე, თუ რომელმა სასამართლომ უნდა გაარჩიოს მეამბოხეთა საქმე. დაადგინეს საქმე სამოქალაქო სასამართლომ გაარჩიოს. ეს დადგენილება მთავრობის წინდახედულებით არის გამოწვეული. საბერძნეთის ჯარში თურმე ბევრი მომხრენი ჰყავს ტიპალდოსა და მის ამხანაგებს.

**რუსეთისა და ინგლისის გემები საბერძნეთის სანაპიროებში.**

რუსეთისა და ინგლისის გემები მიდიან ფლერენს ნავთსადგურში გაჩერდნენ. ამ მოვლენას ყველა ისე ხსნის, რომ რუსეთსა და ინგლისს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საბერძნეთის დინასტია დაიცვან. ორივე სახელმწიფო ჩაერევა საბერძნეთის შინაურ საქმეებში, თუ დინასტია განსაცდელში ჩავარდება.

## რუსეთი

**ახალი საარჩევნო კანონი.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებში ხმა გავრცელდა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი კრიჟანოვსკი ახალ საარჩევნო კანონს იმუშავებსო. დეპუტატების სიტყვით კრიჟანოვსკის კანონ-პროექტით დიდ უპირატესობას აძლევს სამღვდელოებას და მემამულეებს. გლეხების და მუშების ისედაც შეზღუდული უფლებები უფრო იზღუდება. ამას გარდა დიდ ქალაქებში გაუქმდება პირდაპირი არჩევნები.

**ხმები სათათბიროს დათხოვნის შესახებ.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა მოელის, თუ მიიღო შეკითხვები დუმბაძისა, ტოლმაჩევის და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ შესახებო.

**ახალი ჯგუფი სათათბიროში.** ჩვენ უკვე გვქონდა ცნობა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ყველა მიმართულების გლეხი—დეპუტატები ერთ ჯგუფს შედგენას აპირებენო. გლეხებს უკვე გაუმართავთ სხდომა და დაუდგენიათ სათათბიროში საგლეხო საქმეების განხილვის დროს ერთად იმოქმედონ, ისე კი იმ ფრაქციებში იმუშავონ, რომლებშიაც ითვლებიან. გლეხებს თავმჯდომარედ დეპუტატი ჩელიშევი აურჩევიათ.


**იყიდება ორი ნაჭერი** მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიისთან. ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ, დილით 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 საათზე. (2—518—1)

კიბველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აჯეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა-სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1}/_{4}$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1}/_{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—202)

კოსმეტიკის და პარფიუმერიის ახალი რამეები
**დუხები ნიცცის ყვავილებისა**
შამპუ, კრემები, საპონი, პუდრა, ოდეკალონი, ლოსიონი.
**სანადერმა ნიცცაში**
იყიდება ყველგან.
განყოფილება რუსეთისთვის; Москва, Никольская, д. Греческаго Монастыря.
(Л. Метцль и К. N 141702) (5—6.—1)

**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში
**„ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ“**
შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაჟ.—5)

**1 მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ **1 მანეთიდან**
**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაჟ.—6)

**პროვოდნიკის**
1897 წ. 1908 წ. 1888
**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
სათავრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**იყიდება ნარდად და ცალობით:**
რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საგალანტერეიო საქონელი,
საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.